



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა**
(სსიპ თბილისის N123 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაკა ნადარეიშვილი

წევრები:

ლელა გორდულაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
რუსუდანი არზიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო ფორჩხიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მარიამ კუჭუხიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო ზირაქაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
გიორგი ხომასურიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნანა შალამბერიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თამარ მურუსიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწესებულების საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ თბილისის N123 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	211351963

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი, ი. იმედაშვილის ქ. N4
საფოსტო ინდექსი	0179
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სკოლების პორტალი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tbilisi123@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 2 25 0000421139
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	13 და 14 მაისი, 2025 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი	ქართული	თბილისი, ი. იმედაშვილის 4
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო	ქართული	თბილისი, ი. იმედაშვილის 4
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო	ქართული	თბილისი, ი. იმედაშვილის 4

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2025 წლის 13 და 14 მაისს სსიპ - ქალაქ თბილისის 123 საჯარო სკოლაში განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმება განხორციელდა.

ექსპერტების ჯგუფმა, ვიზიტის წარმართვისთვის, შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეცა ვიზიტამდე. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა- ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.

სკოლაში შესვლისთანავე იგრძნობოდა კეთილგანწყობა, სკოლა დატვირთული რეჟიმით მუშაობს, სასკოლო გარემო მოწესრიგებულია და სამუშაოდ ყველა პირობაა შექმნილი. ვიზიტის დროს დაწესებულებაში ცხადად ჩანდა თანამშრომლობითი კულტურა, რომელიც სკოლის ძლიერი მხარეა. სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს არაფორმალურ განათლებას, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ადგილზე ვიზიტისას მასწავლებლებთან გასაუბრებითა ჩანს, მათი მონაწილეობა სხვადასხვა პროექტში.

ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საქმისმწარმოებელს, სპეციალურ მასწავლებლებს და სხვა პირებს. ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან, ინტერვიუს პროცესში ჩართული იყო დაწყებითი საფეხურის ექსპერტი, მან ასევე განახორციელა I,II,III,IV კლასების ქართული ენა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების კურიკულუმების რევიზია, ხოლო შეფასების ეტაპზე ითანამშრომლა საგნობრივ ექსპერტებთან, მისი მოსაზრებები და რჩევები გათვალისწინებულია საგნობრივი ექსპერტების მიერ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასებისას.

ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები (Microsoft Teams-ის ელექტრონული პლატფორმის საშუალებით).

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გამოავლინა სრული მზაობა ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით. ავტორიზაციის გუნდს სკოლასთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, სკოლის მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერა ჰქონდა, რომ სამუშაო პროცესი წარმართულიყო საქმეზე ორიენტირებულ გარემოში.

სკოლა შემოწმდა ავტორიზაციის სტანდარტის ოთხივე მიმართულებით. სკოლას თვითშეფასების კითხვარში გამოკვეთილი ჰქონდა ავტორიზაციის სტანდარტთან შეუსაბამო საკითხები, რომლებიც შეფასებული ჰქონდა მეტწილად შესაბამისად. კერძოდ, ინდიკატორ 3.4.1.1.-ის (სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან

შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)) ფარგლებში, შესაბამისობის გეგმაში სკოლა აღნიშნავდა, რომ სკოლის მდგრადობის შემოწმების საკითხთან დაკავშირებით, სკოლამ წერილობით მიმართა ინფრასტრუქტურას და ელოდება პასუხს. ექსპერტთა ვიზიტის დროს ინფორმაცია გახლდათ განახლებული და წინ გადადგმული ნაბიჯები რაც ასევე დასტურდებოდა აღნიშნულ სტრუქტურასთან მიმოწერით. არგუმენტირებული პასუხის წარმოდგენისას, აღნიშნული დასკვნა წარმოადგინა სკოლამ.

მოცემული ინდიკატორის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა გააჩნდეს სახანძრო უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სკოლამ წარადგინა სახანძრო-ტექნიკური შემოწმების აქტი. დოკუმენტის მიხედვით, სკოლის შენობა-ნაგებობები, რომლებზეც ჩატარდა შემოწმება, არ აკმაყოფილებს დადგენილ სახანძრო სტანდარტებს. გამოვლენილი ხარვეზების საფუძველზე, სკოლამ უკვე დაიწყო შესაბამისი ქმედებები და ამ პროცესში ჩააყენა საქმის კურსში შესაბამისი უწყებები.

მეორე სტანდარტის ინდიკატორ 2.2.2.4-ის (სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი) ფარგლებში, სკოლა აღნიშნავს, რომ 2024-2025 სასწ. წელს, დაწყებით საფეხურზე, სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მე და საზოგადოებას, ასწავლის რამდენიმე დაწყებითი კლასის მასწავლებელი, რომელსაც ჩაბარებული აქვს I-IV კლასის კომბინირებული გამოცდა, თუმცა აქვთ ამ საგნების სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება. აღნიშნული საკითხის სტანდარტთან შესაბამისობაში მოსაყვანად, სკოლას შესაბამისობის გეგმაში აქვს გაწერილი ვადები და სამოქმედო ნაბიჯები. ამავე ინდიკატორის კონტექსტში, საბაზო საფეხურზე მდგომარეობა განსხვავებულია. საბაზო საფეხურზე, მუსიკას ასწავლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ სკოლამ დაასაბუთა აღნიშნული ინდიკატორი,

დასაბუთება ეყდნობა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 19 ივნისის ბრძანებით No108/ნ. რომლის მიხედვითაც მას 2026-2027 სასწ. წლამდე აქვს უფლება, აღნიშნულ საგანს (მუსიკას) ასწავლიდეს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი (საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების გარეშე, რადგან ერთ საგნობრივ ჯგუფში შედის), თუმცა 2025-2026 სასწავლო წლისათვის სკოლა გეგმავს, ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე მუსიკის საათები გაინაწილონ მუსიკაში კომპეტენცია დადასტურებულმა მასწავლებლებმა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
-	-	-

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლის წარმატებულ პრაქტიკას მკაფიოდ უსვამს ხაზს პროფესიული გუნდის ერთსულოვანი, კოორდინირებული და ღირებულებებზე ორიენტირებული მუშაობა, რაც ნათლად აისახება ერთობლივად განხორციელებულ ინიციატივებსა და პროექტებში. განსაკუთრებული სიმბოლური დატვირთვა ენიჭება სკოლის დევიზს – „სკოლა, რომელსაც უყვარხარ“, რომელიც ასახავს სასწავლო სივრცეში კეთილგანწყობაზე, ზრუნვაზე და ემოციურ უსაფრთხოებაზე დაფუძნებულ საგანმანათლებლო ფილოსოფიას.

სკოლა გამოირჩევა საერთაშორისო თანამშრომლობაში აქტიური ჩართულობით. აღსანიშნავია პროექტი „მზე იაპონიიდან ამოდის“, რომელიც ხორციელდება იაპონური არასამთავრობო ორგანიზაცია Pangaea-ს მხარდაჭერით და მიზნად ისახავს მულტიკულტურული კომპეტენციების გაღრმავებას ქართველ და იაპონელ მოზარდებს შორის. პროექტის ფარგლებში, 2025 წლის ზაფხულში, კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული პაუზის შემდეგ, სკოლის მოსწავლეები კვლავ გაემგზავრებიან იაპონიაში საზაფხულო სკოლაში მონაწილეობის მიზნით. ეს ინიციატივა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ახალგაზრდებში კულტურათაშორისი დიალოგისა და გლობალური მოქალაქეობის განვითარებას.

სკოლა ასევე აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის (Public Health Foundation of Georgia) მხარდაჭერით სკოლაში განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელთა მიზანია მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და ძალადობისგან დაცვის სისტემური გაძლიერება. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საპილოტე პროგრამა „უსაფრთხოების გაკვეთილები“, რომელიც დაწყებით საფეხურზე 11 ინტეგრირებული, თემატური გაკვეთილის სახით ჩატარდა. პროგრამა მიზნად ისახავდა მოსწავლეებში ცნობიერების ამაღლებას პირადი სივრცის, ჰიგიენისა და ძალადობის აღკვეთის საკითხებზე. პროგრამა განხორციელდა მშობელთა თანხმობითა და აქტიური ჩართულობით.

მნიშვნელოვანი ინიციატივაა პროექტი „მოხალისეები მოხალისეებისთვის“, რომელიც ხორციელდება ორგანიზაცია Helping Hand-ის მიერ, USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში. პროექტი ხელს უწყობს მოსწავლეთა სამოქალაქო აქტივიზმის, ლიდერობისა და სოციალური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სკოლის ღირებულებებზე დაფუძნებულ საგანმანათლებლო გარემოს.

სკოლა ღიაა საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოცდილებების გაზიარებისთვის და თავადაც წარმოადგენს სასწავლო პრაქტიკის გავრცელების სივრცეს. ამ კონტექსტში აღსანიშნავია ესტონელი მასწავლებლების სამუშაო ვიზიტი სკოლის ბაზაზე, რომლის ფარგლებშიც გაცვალეს გამოცდილება და გაეცნენ ქართულ საგანმანათლებლო პრაქტიკას.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავებაც – ამის დასტურია სომხეთის წარმომადგენლების ვიზიტი და სკოლისა და პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებების შორის მემორანდუმის გაფორმება. ეს ინიციატივა ხელს უწყობს მეზობელ ქვეყნებს შორის განათლების სფეროში დიალოგისა და გამოცდილების გაცვლის კულტურის განმტკიცებას.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1200	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

სსიპ თბილისის №123 საჯარო სკოლა ახორციელებს ზოგად განათლებას დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ფარგლებში. სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მომენტში მასში ირიცხებოდა 699 მოსწავლე, ხოლო

საგანმანათლებლო პროცესს ახორციელებდა 67 პედაგოგი. მოსწავლეთა მზარდი რაოდენობა სკოლის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელია.

სკოლას გააჩნია ახლად გარემონტებული შენობა და კეთილმოწყობილი გარე სარეკრეაციო სივრცე, რომელიც საგნობრივი და ინტეგრირებული აქტივობებისთვის აქტიურად გამოიყენება და წარმოადგენს სასწავლო პროცესის განუყოფელ ნაწილს.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა სწავლების დაგეგმვისა და განხორციელების ამსახველი დოკუმენტაცია. საგნობრივი ექსპერტების მიერ ჩატარდა საგანმანათლებლო პროგრამების — მათ შორის, სასკოლო სასწავლო გეგმის, საგნობრივი კურიკულუმების, კომპლექსური და შემოქმედებითი დავალებების, ასევე შეფასების სქემებისა და განხორციელებული პროექტების — დეტალური ანალიზი. თითოეულმა ექსპერტმა შეაფასა საგნობრივი კურიკულუმები შესაბამის საფეხურზე.

დაწყებითი საფეხურის მიმართულებით განხორციელდა წარმოდგენილი პროგრამების რევიზია. 2.2.2.4 ინდიკატორის (*სკოლას ჰყავს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსი*) შესაბამისად, 2024–2025 სასწავლო წლისათვის დაწყებით საფეხურზე საგნებს „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“ და „მე და საზოგადოება“ ასწავლიან დაწყებითი კლასების პედაგოგები. მათ არ გააჩნიათ აღნიშნული საგნების სპეციალური კვალიფიკაცია (მასწავლებლის საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული). სკოლის მიერ წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია ვადები და კონკრეტული სამოქმედო ნაბიჯები საკითხის სტანდარტთან შესაბამისობაში მოსაყვანად. საგნობრივმა ექსპერტმა გაიზიარა აღნიშნული ფაქტი და ინდიკატორი 2.2.2.4-ის შეფასება მეტწილად შესაბამისია.

სკოლა აკმაყოფილებს ზოგად მოთხოვნას ადამიანური რესურსის არსებობის შესახებ, საბაზო საფეხურზე, ინდიკატორის 2.2.2.4. (*სკოლას ჰყავს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსი*) ფარგლებში, კერძოდ, აღნიშნულ საფეხურზე მუსიკას ასწავლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ სკოლამ დაასაბუთა აღნიშნული ინდიკატორი, დასაბუთება ეყდნობა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 19

ივნისის ბრძანებით No108/ნ. რომლის მიხედვითაც მას 2026-2027 სასწ. წლამდე აქვს უფლება, აღნიშნულ საგანს (მუსიკას) ასწავლიდეს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი (საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების გარეშე, რადგან ერთ საგნობრივ ჯგუფში შედის), თუმცა 2025-2026 სასწავლო წლისათვის სკოლა გეგმავს, ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე მუსიკის საათები გაინაწილონ მუსიკაში იმ მასწავლებლებმა, რომლებსაც საგნობრივი კომპეტენცია აქვთ დადასტურებული. საბაზო საფეხურზე 2.2.2.4. შესაბამისია. საბოლოო ჯამში, საბაზო და საშუალო საფეხურზე არსებული პროგრამები სტანდარტის შესაბამისია. საგნობრივმა ექსპერტებმა გასცეს ანალიზისა და პროფესიულ გამოცდილებაზე, დაყრდნობილი ღირებული რჩევები თითოეულ საფეხურზე

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
-	-	-
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N	-	-
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		
-	-	-

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		



-	-	-
---	---	---

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
-	-	-
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		
-	-	-
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
-	--	-

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	სკოლამ უზრუნველყოს: შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების თანახმად, მასწავლებლის სტანდარტით განსაზღვრული კომპეტენციების მქონე კადრების შერჩევა (კონკრეტული საგნებისათვის).

VI. რჩევა

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა	1.2.1.4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	რჩევა: სამოქმედო გეგმის შედგენისას, გაითვალისწინოს სკოლის რეალური მდგომარეობა – გამოიყენოს არსებული მონაცემები, შეაფასოს წინა წლების გამოცდილება და დასახოს კონკრეტული, ერთი წლის მიზანი.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
3.2. პერსონალის განვითარება 3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე	3.2.1.2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;	რჩევა: სასურველია შეიმუშაოს თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობის შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები და ამ კრიტერიუმებით შეფასებით გამოკვეთოს, მათი საჭიროებები.
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილი	რჩევა: სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნაში აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად დაგეგმილი ნაბიჯები შეასრულოს და საჭიროების შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ზომები.



	უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....	-	-

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	ესთეტიკური აღზრდა: რჩევა: სასურველია დაწყებითი კლასების სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში, ყველა თემის ფარგლებში დაკონკრეტდეს, რომელი სამიზნე ცნების ქვეცნებებზე ხდება ორიენტირება. ასევე გადაიხედოს და გასწორდეს პირველი სამიზნე ცნების დასახელება სტანდარტის შესაბამისად.
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს	<u>სახელმწიფო ენა:</u> რჩევა: თითოეული თემის ფარგლებში შეთავაზებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები/აქტივობები მნიშვნელოვანია შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს და უზრუნველყოფდეს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. გზამკვლევად გამოიყენეთ დაწყებითი საფეხურის სტანდარტი. <u>მათემატიკა:</u> რჩევა: შემოქმედებით პროდუქტი, რომელიც მოიაზრება შუალედურ მიზნად, სასურველია მე-3 და მე-4 კლასის კურიკულუმებში თემების მიხედვით მეტად აისახოს.



ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	ესთეტიკური აღზრდა: რჩევა: სასურველია დაიხვეწოს დაწყებითი კლასების განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (I-VI კლასები) სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, მოერგოს კურიკულუმში გაწერილ თემებს. სახელმწიფო ენა: რჩევა: დაწყებით საფეხურზე განხორციელებული აქტივობები შეფასდეს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტით (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის შეფასება); განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოებისას შეფასება გამოიკვეთოს გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან (საფეხურის შედეგი, სამიზნე ცნება) მიმართებით, კონკრეტულ ინდიკატორზე დაყრდნობით.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის სანდო	უცხოური ენები: რჩევა: სასურველია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნის დროს გამოყენებული იყოს თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით.
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	სახელმწიფო ენა: რჩევა: სასწავლო შედეგების მიღწევის მიზნით სასურველია საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს თემატური კონტექსტმაგალითები და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები.
ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	ესთეტიკური აღზრდა: რჩევა: სასურველია კურიკულუმებში ჩაშენდეს დამატებითი ელექტრონული რესურსები.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს	სახელმწიფო ენა: რჩევა: თითოეული თემის ფარგლებში შეთავაზებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები/აქტივობები მნიშვნელოვანია შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს და უზრუნველყოფდეს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. გზამკვლევად გამოიყენეთ საბაზო საფეხურის სტანდარტი.



ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს	მათემატიკა: რჩევა: შემოქმედებით პროდუქტი, რომელიც მოიაზრება შუალედურ მიზნად, სასურველია კურიკულუმებში თემების მიხედვით მეტად აისახოს.
ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	ესთეტიკური აღზრდა: რჩევა: სასურველია საბაზო საფეხურის მუსიკის კურიკულუმებში ჩაშენდეს ის დამატებითი ელექტრონული რესურსები, რომლებიც ჩაშენებულია საბაზო საფეხურის მხოლოდ თემატურ მატრიცებში.
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	მათემატიკა: რჩევა: სასურველია საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას აისახოს კურიკულუმში, როგორცაა პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები და ა.შ
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	საზოგადოებრივი მეცნიერებები: რჩევა: სასურველია, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებისთვის, კათედრამ შექმნას უფრო მრავალფეროვანი და კონკრეტულ დავალებებზე მეტად მორგებული შეფასების რუბრიკები, რაც პირდაპირ კავშირში იქნება ამავე ტიპის დავალებებით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან სახელმწიფო ენა: რჩევა: საბაზო საფეხურზე განხორციელებული აქტივობები შეფასდეს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტით (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის შეფასება); განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოებისას შეფასება გამოიკვეთოს გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან (საფეხურის შედეგი, სამიზნე ცნება) მიმართებით, კონკრეტულ ინდიკატორზე დაყრდნობით.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური	საზოგადოებრივი მეცნიერებები: რჩევა: შეფასების კრიტერიუმების მეტი ვალიდურობისთვის კათედრა უმჯობესია დაეყრდნოს სწორედ იმ კომპლექსური ტიპის დავალებების მოთხოვნებს, რომლებიც კურიკულუმში აქვს წარმოდგენილი. მათ მიერ შემუშავებული რუბრიკები მეტნაკლებად ზოგადი ტიპისაა და ნაკლებად ერგება კონკრეტულ დავალებას.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე	საზოგადოებრივი მეცნიერებები: რჩევა: შეფასების კრიტერიუმების მეტი გამჭვირვალობისთვის კათედრა უმჯობესია დაეყრდნოს სწორედ იმ კომპლექსური ტიპის დავალებების მოთხოვნებს, რომლებიც კურიკულუმში აქვს წარმოდგენილი. მათ მიერ შემუშავებული რუბრიკები მეტნაკლებად ზოგადი ტიპისაა და ნაკლებად ერგება კონკრეტულ დავალებას. სახელმწიფო ენა:

		რჩევა: სასურველია წინასწარ შემუშავებული შეფასების სქემა თითოეულ თემატიკასთან დაკავშირებით გააცნოთ მოსწავლეს და გამოაკრათ თვალსაჩინო ადგილას.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის სანდო	საზოგადოებრივი მეცნიერებები: რჩევა: შეფასების კრიტერიუმების მეტი სანდოობისთვის კათედრა უმჯობესია დაეყრდნოს სწორედ იმ კომპლექსური ტიპის დავალებების მოთხოვნებს, რომლებიც კურიკულუმში აქვს წარმოდგენილი. მათ მიერ შემუშავებული რუბრიკები მეტნაკლებად ზოგადი ტიპისაა და ნაკლებად ერგება კონკრეტულ დავალებას. უცხოური ენები: რჩევა: სასურველია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნის დროს გამოყენებული იყოს თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ობიექტური	საზოგადოებრივი მეცნიერებები: რჩევა: შეფასების კრიტერიუმების მეტი ობიექტურობისთვის კათედრა უმჯობესია დაეყრდნოს სწორედ იმ კომპლექსური ტიპის დავალებების მოთხოვნებს, რომლებიც კურიკულუმში აქვს წარმოდგენილი. მათ მიერ შემუშავებული რუბრიკები მეტნაკლებად ზოგადი ტიპისაა და ნაკლებად ერგება კონკრეტულ დავალებას.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის სამართლიანი	საზოგადოებრივი მეცნიერებები: რჩევა: შეფასების კრიტერიუმების მეტი სამართლიანობისთვის კათედრა უმჯობესია დაეყრდნოს სწორედ იმ კომპლექსური ტიპის დავალებების მოთხოვნებს, რომლებიც კურიკულუმში აქვს წარმოდგენილი. მათ მიერ შემუშავებული რუბრიკები მეტნაკლებად ზოგადი ტიპისაა და ნაკლებად ერგება კონკრეტულ დავალებას.
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	სახელმწიფო ენა: რჩევა: სასწავლო შედეგების მიღწევის მიზნით სასურველია საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს თემატური კონტექსტმაგალითები და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	რჩევა



ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს	სახელმწიფო ენა: რჩევა: თითოეული თემის ფარგლებში შეთავაზებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები/აქტივობები მნიშვნელოვანია შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს და უზრუნველყოფდეს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. მათემატიკა: რჩევა: შემოქმედებით პროდუქტი, რომელიც მოიაზრება შუალედურ მიზნად, სასურველია კურიკულუმში თემების მიხედვით მეტად აისახოს.
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	მათემატიკა: რჩევა: სასურველია საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას აისახოს კურიკულუმში, როგორცაა პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები და ა.შ
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	ესთეტიკური აღზრდა: რჩევა: სასურველია დაიხვეწოს პროექტის შეფასების რუბრიკები მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. საზოგადოებრივი მეცნიერებები: რჩევა: სასურველია, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებისთვის, კათედრამ შექმნას უფრო მრავალფეროვანი და კონკრეტულ დავალებებზე მეტად მორგებული შეფასების რუბრიკები, რაც პირდაპირ კავშირში იქნება ამავე ტიპის დავალებებით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან (სკოლაში ვიზიტის დროს მათ წარმოადგინეს, სხვადასხვა სახის შეფასების რუბრიკები, მაგრამ უფრო ზოგადი ხასიათის). სახელმწიფო ენა: რჩევა: საშუალო საფეხურზე განხორციელებული აქტივობები შეფასდეს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტით (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის შეფასება); განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოებისას შეფასება გამოკვეთთ გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან (საფეხურის შედეგი, სამიზნე ცნება) მიმართებით, კონკრეტულ ინდიკატორზე დაყრდნობით.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური	საზოგადოებრივი მეცნიერებები: რჩევა: შეფასების კრიტერიუმების მეტი ვალიდურობისთვის უმჯობესი იქნება, თუ კათედრა დაეყრდნობა სწორედ იმ კომპლექსური ტიპის დავალებების მოთხოვნებს, რომლებიც კურიკულუმში აქვს წარმოდგენილი. მათ მიერ შემუშავებული რუბრიკები მეტნაკლებად ზოგადი ტიპისაა და ნაკლებად ერგება კონკრეტულ დავალებას.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე	სახელმწიფო ენა:



		რჩევა: სასურველია წინასწარ შემუშავებული შეფასების სისტემა თითოეულ თემატიკასთან დაკავშირებით გააცნოთ მოსწავლეს და გამოაკრათ თვალსაჩინო ადგილას. საზოგადოებრივი მეცნიერებები: რჩევა: შეფასების კრიტერიუმების მეტი გამჭირვალობისთვის უმჯობესი იქნება, თუ კათედრა დაეყრდნობა სწორედ იმ კომპლექსური ტიპის დავალებების მოთხოვნებს, რომლებიც კურიკულუმში აქვს წარმოდგენილი. მათ მიერ შემუშავებული რუბრიკები მეტნაკლებად ზოგადი ტიპისაა და ნაკლებად ერგება კონკრეტულ დავალებას.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის სანდო	საზოგადოებრივი მეცნიერებები: რჩევა: შეფასების კრიტერიუმების მეტი სანდოობისთვის უმჯობესი იქნება, თუ კათედრა დაეყრდნობა სწორედ იმ კომპლექსური ტიპის დავალებების მოთხოვნებს, რომლებიც კურიკულუმში აქვს წარმოდგენილი. მათ მიერ შემუშავებული რუბრიკები მეტნაკლებად ზოგადი ტიპისაა და ნაკლებად ერგება კონკრეტულ დავალებას. უცხოური ენები: რჩევა: სასურველია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნის დროს გამოყენებული იყოს თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ობიექტური	საზოგადოებრივი მეცნიერებები: რჩევა: შეფასების კრიტერიუმების მეტი ობიექტურობისთვის უმჯობესი იქნება, თუ კათედრა დაეყრდნობა სწორედ იმ კომპლექსური ტიპის დავალებების მოთხოვნებს, რომლებიც კურიკულუმში აქვს წარმოდგენილი. მათ მიერ შემუშავებული რუბრიკები მეტნაკლებად ზოგადი ტიპისაა და ნაკლებად ერგება კონკრეტულ დავალებას.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის სამართლიანი	საზოგადოებრივი მეცნიერებები: რჩევა: შეფასების კრიტერიუმების მეტი სამართლიანობისთვის უმჯობესი იქნება, თუ კათედრა დაეყრდნობა სწორედ იმ კომპლექსური ტიპის დავალებების მოთხოვნებს, რომლებიც კურიკულუმში აქვს წარმოდგენილი. მათ მიერ შემუშავებული რუბრიკები მეტნაკლებად ზოგადი ტიპისაა და ნაკლებად ერგება კონკრეტულ დავალებას.
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს	სახელმწიფო ენა:

	კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	რჩევა: სასწავლო შედეგების მიღწევის მიზნით სასურველია საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს თემატური კონტექსტმაგალითები და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები.
--	---	--

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე. 2025 წლის 13 და 14 მაისს სსიპ - ქალაქ თბილისის 123 საჯარო სკოლაში განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმება განხორციელდა.

სკოლა შემოწმდა ავტორიზაციის სტანდარტის ოთხივე მიმართულებით.

საგნობრივმა ექსპერტებმა გაანალიზეს საგანმანათლებლო პროგრამები, კერძოდ სასკოლო სასწავლო გეგმა, საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური / შემოქმედებით დავალებების პირობები და შეფასების სქემები, დაგეგმილი და განხორციელებული პროექტები. თითოეულმა საგნობრივმა ექსპერტმა შეაფასა თითოეული საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი. დაწყებითი საფეხურის ექსპერტმა რევიზია გაუკეთა დაწყებითი საფეხურის პროგრამებს. წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების ანალიზის შედეგად, ექსპერტების მიერ, სწავლების საბაზო საფეხურზე გამოიკვეთა ხარვეზი. კერძოდ, 2.2.2.4. ინდიკატორის, (სკოლას ჰყავს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსი) ფარგლებში. აღნიშნულ საფეხურზე მუსიკას ასწავლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი, რაც ნაკლებად უზრუნველყოფს კურიკულუმის სრულფასოვან

განხორციელებას. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ სკოლამ დაასაბუთა აღნიშნული ინდიკატორი, დასაბუთება ეყდნობა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 19 ივნისის ბრძანებით No108/ნ. რომლის მიხედვითაც მას 2026-2027 სასწ. წლამდე აქვს უფლება, აღნიშნულ საგანს (მუსიკას) ასწავლიდეს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი (საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების გარეშე, რადგან ერთ საგნობრივ ჯგუფში შედის), ამასთანვე 2025-2026 სასწავლო წლისათვის სკოლა გეგმავს, ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე მუსიკის საათები გაინაწილონ იმ მასწავლებლებმა, რომლებსაც საგნობრივი კომპეტენცია აქვთ დადასტურებული. **ექსპერტებმა სრულად გაიზიარეს სკოლის პოზიცია და შესაბამისად ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად.**

სკოლას არგუმენტირებული პოზიციის გაზიარებისას, აღნიშნული აქვს, რომ ინდიკატორი **3.4.1.1.** სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში) - რომელიც მოიაზრებს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე დასკვნის არსებობას. სკოლამ განახორციელა შესაბამისობის გეგმის მიხედვით ნაბიჯები და მოიპოვა აღნიშნული დასკვა. დასკვნაში მითითებულია, რომ „ მიუხედავად არსებული მცირედი დაზიანებებისა, რომლებიც I ხარისხისაა (უმნიშვნელოდან მსუბუქამდე დაზიანებები) შენობა ვარგისია უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის“. აღნიშნული მცირედი დაზიანებების აღმოფხვრის მიზნით, სკოლამ განსახორციელებელი ნაბიჯები გაწერა შესაბამისობის გეგმაში. **ექსპერტებმა სრულად გაიზიარეს სკოლის პოზიცია და შესაბამისად ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად.**

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მისია შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ის არის მოკლე, გასაგები, მამოტივირებელი. კერძოდ, სკოლის მისიაა “სწავლების ინოვაციური მიდგომებითა და უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით, 21-ე საუკუნის პასუხისმგებლიანი და მედიაწიგნიერი მოქალაქის აღზრდა, რომელიც გამოავლენს მუდმივ მზაობას ნებისმიერი გამოწვევისა და ცვლილებისათვის”. აღნიშნული მისია მტკიცდება სკოლის ხედვით, რომელშიც სკოლა აცხადებს, რომ მიმართულია მოსწავლეზე ორიენტირებულ, ინკლუზიური გარემოს შექმნისთვის, სადაც ყველა მოსწავლე შეძლებს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენასა და 21-ე საუკუნისათვის აუცილებელ უნარების განვითარებაზე.

ინდიკატორი 1.1.1.1. შეესაბამება.

2. სკოლას კარგად აქვს შესწავლილი საკუთარი სასკოლო საზოგადოების/ სასკოლო თემის და ზოგადად საზოგადოების პრიორიტეტები, ღირებულებები და გამოწვევები. კერძოდ, სკოლას მისიაში აცხადებს, რომ სწავლების ინოვაციური მიდგომებით და ტექნოლოგიების გამოყენებით აღზრდის 21-ე საუკუნისთვის მზად, დამოუკიდებელ და საჭირო უნარებით აღჭურვილ ახალგაზრდას, მისიას ამყარებს სკოლის ხედვა, რომლის მიხედვითაც სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მათზე მორგებულ, ინკლუზიურ გარემოს. გარდა ამისა, სკოლას აქვს

დევიზი - “განათლება ფურცლის გარეშე, საკლასო ოთახი კედლებს გარეშე და 123 სკოლა, რომელსაც უყვარხარ” - რომელსაც სრულიად სასკოლო საზოგადოება იზიარებს. შესაბამისად, სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. **ინდიკატორი 1.1.1.2. შეესაბამება.**

3. სკოლამ მისიაა, ხედვა და ღირებულებები შეიმუშავა 2023-2024 სასწავლო წელს (განახლებული ვერსია). აღნიშნულ პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. დაგეგმილი და განხორციელებული იყო სხვადასხვა აქტივობა „წერილი დირექტორს“ - რომელშიც V-XI კლასის მოსწავლეებმა შეაფასეს სასწავლო პროცესი, გამოკვეთეს სკოლის ძლიერი და სუსტი მხარე, გამოთქვეს სურვილები და მოსაზრებები. აღნიშნული ინფორმაცია, დახარისხდა და მიეწოდა მასწავლებლებს, შემდეგ კი უკვე დირექტორის მ.შ. ბრძანებით შეიქმნა სკოლის მისიაზე, ხედვასა და ღირებულებებზე მომუშავე ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ, მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები. შეიქმნა კითხვარები, მიღებული მონაცემები გაანალიზა სამუშაო ჯგუფმა და შეიქმნა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლის შექმნაშიც ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. **ინდიკატორი 1.1.1.3. შეესაბამება.**

4. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი, შესაბამისად მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. გარდა ამისა, აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ, რომელშიც ასევე სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის წარმომადგენელია შესული. გამომდინარე აქედან, **ინდიკატორი 1.1.1.4. შეესაბამება.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი სკოლის ვებგვერდზე, ასევე სკოლის შესასვლელში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. **ინდიკატორი 1.1.1.5. შეესაბამება.**

6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ სკოლის სახელწოდებად განსაზღვრულია: სსიპ თბილისის 123 საჯარო სკოლა. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **1.1.1.6. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;

სკოლის მისია, ხედვასა და ღირებულებებებზე მომუშავე ჯგუფის შექმნის ბრძანება;
სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. აღნიშნულ დოკუმენტი განსაზღვრავს: მმართველობითი პროცესის - მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების დაგეგმვის ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. წესი, ასევე, განსაზღვრავს აღნიშნული დოკუმენტების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. **1.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური, 7 წლიანი. და შეესაბამება მისიას, ხედვა და ღირებულებებს. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, სკოლა ეყრდნობა SWOT ანალიზს, შეფასებულია სკოლის არსებული მდგომარეობა, იდენტიფიცირებულია ძლიერი და სუსტი მხარეები. კერძოდ, **ძლიერ მხარეში** სკოლას გამოტანილი აქვს: პედაგოგთა კომპეტენცია და მაღალი მოტივაცია; სკოლის განახლებული ინფრასტრუქტურა; სასკოლო პროექტები/პროექტზე დაფუძნებული სწავლება; და ა.შ. აღნიშნული პირდაპირ კავშირშია მისიასთან, რომელიც სკოლა აცხადებს, რომ ინოვაციური განათლების მიცემით იქნება გამორჩეული. **სუსტ მხარეში** სკოლა ასახელებს: მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია საბაზო - საშუალო საფეხურზე; დაბალი აკადემიური მოსწრება საბაზო - საშუალო საფეხურზე; მოსწავლეთა შეფასების სისტემა; სკოლაში/გაკვეთილზე დაგვიანება; და ა.შ. **შესაძლებლობებში** სკოლას გამოკვეთილი აქვს: მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად; სკოლის პერსონალთა გადამზადება; სტემ ლაბორატორიის მოწყობა; და ა.შ. აღნიშნულის გაუმჯობესებით, შესაძლებელი იქნება სკოლის სუსტი მხარის დაძლევა. **საფრთხეებში** სკოლას განსაზღვრული აქვს: გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო სასწავლო დღის გაცდენა; მაღალი კონკურენცია - სკოლების განვითარება; მეორე ცვლაში სხვა სკოლის შემოსვლა; ციფრულ მოწყობილობებზე დამოკიდებულება - ასაკის შეუსაბამო ინფორმაციაზე წვდომა კიბერ-ბულინგი. აღნიშნულის, მიგნებების ანალიზის შედეგად შექმნილია 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა და განსახორციელებელი მიზნობრივი ქმედებები. **1.2.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული გეგმიდან. **1.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

4. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მოცემულია სტრატეგიული მიზნები, მათი შესაბამისი ამოცანები. აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების პერიოდი, შეფასების ინდიკატორები / მტკიცებულებები და რესურსები. კერძოდ, სკოლას განსაზღვრული აქვს შემდეგი სტრატეგიული მიზნები, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; ადამიანური რესურსის განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის

გაუმჯობესება; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინიზებული გარემოს უზრუნველყოფა; სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება; ორგანიზაციული განვითარება; სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი მიზნები და ამოცანები ზოგად ხედვას ასახავს, რაც კარგი საწყისი ნაბიჯია. თუმცა, იმისათვის, რომ გეგმა კიდევ უფრო მოერგოს სკოლის საჭიროებებს და წარმატებით განხორციელდეს, უმჯობესია მიზნებს სასწავლო წლის განმავლობაში განსახორციელებელი უფრო კონკრეტული აქტივობები შეესაბამებოდეს. აქედან გამომდინარე, სკოლას მიეცა **რჩევა** : სამოქმედო გეგმის შედგენისას, გაითვალისწინოს სკოლის რეალური მდგომარეობა – გამოიყენოს არსებული მონაცემები, შეაფასოს წინა წლების გამოცდილება და დასახოს კონკრეტული, ერთი წლის მიზანი.

1.2.1.4. ინდიკატორი შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია;

სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ სტრატეგიული განვითარებისა და დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს, რომელიც ხორციელდება

დაკვირვებითა და შეფასებით, ანალიზი და ანგარიში კი წარმოდგენილია პასუხისმგებელი პირის მიერ. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლაში ამ პროცესის განხორციელება ევალება, ამ მიზნით შექმნილ ჯგუფს. **1.2.2.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. მეთოდოლოგიისა შესაბამისად, სკოლა ახორციელებს მონიტორინგის პროცესს. ამ მიზნით შემუშავებულია სხვადასხვა კითხვარი მშობლებისთვის, მოსწავლეებისთვის. ასევე ხდება სასწავლო პროცესზე დაკვირვება. სწორედ ამ მონიტორინგის შედეგად, გამოჰყოფს სკოლა სხვადასხვა გასაუმჯობესებელ მხარეს და შემდეგ ადგენს ერთწლიან სამოქმედო გეგმას. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის, კათედრის თავმჯდომარეების შუალედური მონიტორინგის შედეგები. რომელში ასახულია ერთლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში მიზნის შესაბამისი ამოცანების შესრულება. (ამოცანები შეფასებულია სამი კრიტერიუმით: სრულად შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა, არ შესრულდა). **1.2.2.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. აღნიშნული შედეგების საჯაროობად შესაძლებელია მივიჩნიოთ სკოლის დირექტორის ანგარიში, რომელსაც ის წარუდგენს სამეურვეო საბჭოს (რომლის შემადგენლობაშიც შედიან სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელი ყველა რგოლი). ასევე დირექტორი შესაბამის ანგარიშს წარადგენს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. **1.2.2.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულები ანგარიშს სკოლა იყენებს შემდეგი წინსვლისთვის. სწორედ ამის დასტურია, სკოლის SWOT ანგარიშის მიხედვით სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმების შედგენა. **1.2.2.4. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია;

სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულები და განსაზღვრულია კონკრეტული ფუნქციები. ამასთანავე, სკოლის დირექტორს ბრძანებით დამტკიცებული აქვს სკოლის დებულება, რომელშიც განსაზღვრულია სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების / პირების ფუნქცია - მოვალეობები.

სკოლას ვებგვერდზე გამოქვეყნებული აქვს სკოლის სტრუქტურული ერთეულები. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო. სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასა და მათ შორის კოორდინაციისთვის ხელმძღვანელობს, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის და „საჯარო სკოლის წესდების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანების მიხედვით და თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით, სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. აღნიშნული ხელშეკრულებები, სკოლის შინაგანაწესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს **3.1.1.1. ინდიკატორი შეესაბამება;**

2. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა, მათ შორის ფუნქციების გადანაწილება, ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად და გამჭვირვალედ განხორციელებას. სკოლა ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს ორგანულ კანონს: საქართველოს შრომის კოდექსს და „ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონს“, ასევე მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსს, სკოლის შინაგანაწესსა და სხვა მოქმედ კანონმდებლობას, შემუშავებულია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს, სხვადასხვა ერთეულის დებულებები (ბიბლიოთეკარის, თვითმმართველობის,

პედაგოგიური საბჭოსი, და ა.შ.), სხვადასხვა წესი (სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი არეგულირებს სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევის წესი და პროცედურები, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობები და ა.შ.). **3.1.1.2.**

ინდიკატორი შეესაბამება;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის მართვის პრინციპებისა და სტრუქტურული ერთეულების /პირების ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულება;

დამრიგებლის დებულება;

კათედრის დებულება;

დისციპლინური სხდომის ოქმი;

შინაგაგანაწესი;

თანამშრომელთან შრომითი ხელშეკრულება

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;

სკოლის სტრუქტურა;

ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება;

უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობები;

ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია;

ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება;

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ;

სამეურვეო საბჭოს ოქმი - ერთ წლიანი სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

პედსაბჭოს ოქმი და ერთ წლიანი სამუშაო გეგმა;

მრჩეველთა საბჭოს წევრების ცვლილების ბრძანება მრჩეველთა საბჭოს ოქმი წლის დასაწყისში, სამუშაო გეგმა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სკოლის ერთ-ერთი ამოცანაა დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ამ მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად, სკოლას შექმნილი აქვს ხარისხის განვითარების ჯგუფი. რომლის მიზანია, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით გაკვეთილებზე დასწრება, რეკომენდაციის გაცემა და დაგეგმვაში ხელშეწყობა. რაც შეეხება სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებს, გარდა მასწავლებლისა, მათი საჭიროებების დადგენა ხდება დაკვირვებით, თავად პერსონალზე დაკვირვება, მის მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაკვირვებით, ან თვითშეფასების **3.1.2.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. ადამიანური პოლიტიკის მართვის დოკუმენტი მოიაზრებს შესრულებული სამუშაოს პროცესების შეფასებას, რაც ასევე გულისხმობს თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოს მონიტორინგს. რომლის ანალიზის შედეგად ირკვევა თანამშრომლების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. ამასთანავე, სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, აღნიშნულის დასტურია ის, რომ სკოლა სიტუაციის ანალიზის შედეგად, ადგენს კადრების საჭიროებას, ქმნის ვაკანტურ პოზიციებს, აღწერს სამუშაოს, პოზიციის შესაბამისად ფუნქცია-მოვალეობებს. ორიენტირებულია კადრების მოზიდვასა და მათ განვითარებაზე. **3.1.2.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სკოლაში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატის შერჩევის მიზნით, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად, ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და კორექტულობის პრინციპების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სკოლს შემუშავებული აქვს პერსონალის შერჩევის წესი. მასწავლებლის დასაქმების საკითხი დარეგულირებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 24 N174/ნ ბრძანებით, რაც ავალდებულებს სკოლას, ვაკანტური საათების არსებობის შემთხვევაში, გამოაცხადოს შიდა ან ღია კონკურსი. კანონში შესული ცვლილებების შესაბამისად, საკონკურსო კომისიაში უნდა შედიოდეს მასწავლებლის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი, საქართველოს განათლებისა, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დარგობრივი სპეციალისტი, რესურსცენტრის წარმომადგენელი, პედაგოგთა თავისუფალი პროფკავშირის წარმომადგენელი, გარეშე პირი და სკოლის თანამშრომელი. ღია კონკურსის საფუძველზე,

საკონკურსო კომისია არჩევს კვალიფიციურ კადრს, რასაც ადასტურებს საკონკურსო კომისიის ოქმები. სადაც წარმოდგენილია I და II ეტაპის შემდეგი მონაცემები, შეფასების კრიტერიუმები და მიღებული შეფასებები. სპეციალური მასწავლებელი, სსსმ ასისტენტი და ფსიქოლოგის შერჩევის პროცესში ჩართულია მულტიდისციპლინური გუნდის წარმომადგენელი. **3.1.2.3. ინდიკატორი შეესაბამება.**

4. სკოლას დამტკიცებული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის, სკოლის შინაგანაწესისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია დაკავებულ პოზიციებთან, მასწავლებელთა და სასწავლო პროცესში ჩართული სხვა პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები დადგენილია მოქმედი კანონმდებლობით, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. **3.1.2.4. ინდიკატორი შეესაბამება.**

5. სკოლაში ყველა პროცესი ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია ახალი თანამშრომლის მიღების და ადაპტაციის ეტაპები, სკოლის როლი ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რაც ბუნებრივია ხელს უწყობს ორგანიზაციული კულტურის გუნდურობის დასტურია ასევე, დოკუმენტებზე მუშაობის გაზიარება, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას გამოკვეთილად აღსანიშნავი იყო კოლექტივის გუნდური მუშაობა, რაც გამოიხატებოდა მხარდაჭერასა და გვერდით დგომაში. **3.1.2.5. ინდიკატორი შეესაბამება.**

6. სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. აღნიშნულის დასტურად, სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ბრძანების საფუძველზე, თანამშრომლისთვის მადლობის გამოცხადების ბრძანება. **3.1.2.6. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მართვის პრინციპებისა და სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულება განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი

ღია კონკურსის გამოცხადება მათემატიკის მასწავლებელზე

ერთჯერადი ფულადი პრემია (ჯილდო) გაცემის შესახებ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას, დირექტორის ბრძნებით განსაზღვრული ჰყავს ხარისხზე პასუხისმგებელი პირები, გარდა ამისა, შექმნილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს შეფასების პროცესს, რითაც ხდება პროფესიული საჭიროებების დადგენა. **3.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება**
2. მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების დადგენა ხორციელდება შესრულებულ სამუშაოზე გაცემული უკუკავშირის საშუალებით, რაც შეეხება სხვა პერსონალის განვითარებისთვის საჭიროებების დადგენას, ეს ხდება დაკვირვებისა და თვითშეფასების საფუძველზე.

სკოლამ აღნიშნული კრიტერიუმის დასტურად წარმოადგინა სკოლის დირექტორისა და სკოლის ბუღალტრის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგის მიღება-ჩაბარების აქტი. გარდა ამისა, სკოლა იღებს სხვადასხვა ინფორმაციას ტრენინგების შესახებ და თანამშრომლებს აწვდის ინფორმაციას. ასევე დაკვირვებისა და თვითშეფასების საფუძველზე, სკოლამ მტუკის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების საჭიროება გამოკვეთა. სკოლას მიეცა **რჩევა** : სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობებთან შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები. აღნიშნული კრიტერიუმების გამოყენებით შესაძლებელია თანამშრომელთა საქმიანობის ობიექტური შეფასება, რაც ხელს შეუწყობს პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებას და განვითარების გეგმების დასახვას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, შეფასების დოკუმენტში დეტალურად განისაზღვროს შეფასების სუბიექტები – კონკრეტულად, ვის მიერ და ვისი საქმიანობა ფასდება. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და შეფასების სისტემატურობას.

3.2.1.2. ინდიკატორი შეესაბამება;

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, მხარს უჭერს და მოტივაციას უზრდის კარიერული განვითარების გზაზე. სკოლამ აღნიშნა, რომ მასწავლებლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ კონფერენციებში, ჩართულები არიან სხვადასხვა ტრენინგში. რაც შეეხება სხვა თანამშრომლებს, სკოლა სამომავლოდ გეგმავს მათი საჭიროებების დადგენასა და ხელშეწყობას. აღნიშნულის ერთ-ერთ დამადასტურებელია მასწავლებლების მიერ სტატუსის ამაღლების მიზნით წარდგენილი პორტფოლიოები.

3.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება;

4. ხელშეკრულების დადებამდე, სკოლის პერსონალი ეცნობა სკოლის შინაგანაწესს, სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, სკოლის მთავარი ამოცანაა, შექმნას ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი გარემო, რაც მომავალში შეუწყობს მოსწავლეს მიაღწიოს წარმატებას. ამასთანავე სკოლას შექმნილი აქვს თანამშრომელთა ადაპტაციის წესი. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ეტაპები, შესაბამისი ეტაპები და პასუხისმგებელი პირები.

3.2.1.4. ინდიკატორი შეესაბამება;

5. პერსონალის წახალისება, წახალისების ფორმები და წახალისებასთან დაკავშირებული ინიციატივები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. მნიშვნელოვანია პერსონალის წახალისება. სკოლას კარგად ესმის თუ რა პოზიტიურ ცვლილებებს უწყობს ხელს პერსონალის წახალისება და აღიარება იქნება ეს ერთჯერადი ფულადი დანამატი თუ მადლობის წერილი. ყველა სიახლეს, რომელიც მოდის სკოლაში პროფესიული განვითარების კუთხით ან კონკურსების შესახებ, სკოლა უზიარებს მასწავლებლებს დახურულ ჯგუფში.

3.2.1.5. ინდიკატორი შეესაბამება;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შინაგანაწესი;

ბრძანება ერთჯერადი პრემიის შესახებ;

თანამშრომლის ადაპტაციის წესი;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია). სკოლას განსაზღვრული ჰყავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი. სასწავლო წლის დასაწყისში იგეგმება აქტივობები, ხორციელდება მონიტორინგი, მიღებული შედეგების ანალიზისა და დაკვირვების შედეგების გათვალისწინებით ხდება ცვლილებების შეტანა. სასწავლო წლის მანძილზე, პერმანენტულად იგეგმება და მიმდინარეობს ხარისხის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ღონისძიებები. კერძოდ, წინასწარ შეთანხმებულ დროს, იგეგმება ხარისხის უზრუნველსაყოფად მხარდამჭერი შეხვედრები, რომელიც საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლოა იყოს ინდივიდუალური ან კათედრებზე. **3.3.1.1. ინდიკატორი შეესაბამება;**

2. სკოლას დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესებში მონაწილე ყველა პირის ფუნქციები. სკოლის პროცესები იყოფა: **მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებად. სკოლის მმართველობითი პროცესებია:** ა) სტრატეგიული დაგეგმვა; ბ) წლიური დაგეგმვა; გ) ხარისხის უზრუნველყოფა; **სკოლის ძირითადი პროცესებია:** ა) კურიკულუმის განვითარება; ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა; **სკოლის დამხმარე პროცესებია:** ა) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; ბ) მოსწავლის სერვისების განხორციელება; გ) საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; დ) ფინანსური რესურსებს მართვა; ე) ადამიანური რესურსების მართვა; ვ) მატერიალური რესურსის მართვა; ზ) უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა; თ) საზოგადოებასთან ურთიერთობა; ი) საქმისწარმოება; კ) კარიერული განვითარება;

სკოლას ასევე გაფორმებული აქვს შრომით ხელშეკრულებები. შემუშავებულია სკოლის დებულება. აღნიშნულ დოკუმენტებში მოცემულია თითოეული რგოლის ფუნქციები, გაწერილია თანამდებობრივი ვალდებულებები, მაგალითად, დირექტორის მოვალეობები, დირექტორის მოადგილის მოვალეობები, სამეურვეო საბჭოს მოვალეობები, სკოლის ბუღალტრის მოვალეობები, მასწავლებლის მოვალეობები, ბიბლიოთეკარის მოვალეობები და ა.შ. თითოეული ვალდებულება დაკავშირებულია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან. **3.3.1.2. ინდიკატორი შეესაბამება;**

3. სკოლას შემუშავებული აქვს გასაჩივრებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეზე, მის მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე. ასევე ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე, რომელსაც სურს, სკოლას მიმართოს განცხადებით / საჩივრით. **3.3.1.3. ინდიკატორი შეესაბამება;**

4. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს წარდგენილი განცხადების / საჩივრის განხილვის პროცედურა. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო და დისციპლინური კომიტეტი. აღნიშნული დოკუმენტები განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე. **3.3.1.4. ინდიკატორი შეესაბამება;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

გასაჩივრებისა და საჩივრის განხილვის წესი

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცება

სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე ზედამხედველი პირის განსაზღვრა

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესის დამტკიცება

ხელშეკრულება მოსწავლე/თანამშრომელთან სადაც არის გასაჩივრების წესი

ბრძანება ერთჯერადი ფულადი პრემია (ჯილდო) გაცემის შესახებ

შინაგაანაწესი

საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი

მშობელთა ინფორმირების წესი

უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები

უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის/პირების განსაზღვრა

მრჩეველთა საბჭოს წევრების ცვლილება

მრჩეველთა საბჭოს ოქმები

თანამშრომელთან ხელშეკრულება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები და ინფორმაცია ხელმისაწვდომია სკოლის ვებგვერდზე. სკოლას აქვს სოციალური ქსელის Facebook გვერდი, სადაც აზიარებს ინფორმაციას და შემდეგ კომენტარების სახით იღებს უკუკავშირსაც. ამასთანავე სკოლას შექმნილი აქვს სხვადასხვა კითხვარი, რომლებსაც მიზნობრივად იყენებს და მუდმივად იღებს უკუკავშირს სასკოლო საზოგადოებისგან.

3.3.2.1. ინდიკატორი შეესაბამება.

2. დაწესებულების მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, კერძოდ, საგნობრივი კათედრების შემადგენლობაშია ყველა მასწავლებელი, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაშია მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე, საბჭო განიხილავს ითანხმებს ან/და ამტკიცებს სკოლის საქმიანობის სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტს. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა ჩართული იყოს სასკოლო ცხოვრებაში. მრჩეველთა საბჭო, რომელიც გამოკვეთს სკოლაში სასწავლო პროცესში გამოკვეთილ საჭიროებებს და იძლევა შესაბამის რჩევებს. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა დასტურდება ამ კოლეგიალური ორგანოების სხდომის ოქმებით. **3.3.2.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევის ოქმი

დისციპლინური კომიტეტის არჩევის ოქმი

მრჩეველთა საბჭოს ოქმი შეფასების მოდელის არჩევა

პედსაბჭოს ოქმი

თვითმმართველობის არჩევნების ოქმი

სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

მოსწავლეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებისა და ბრძანება მოსწავლეთა უფლებათა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის

დისციპლინური საბჭოს ოქმი

სამეურვეო საბჭოს ოქმი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია თანამშრომლებისა და სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირებისთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო. სკოლაში არის 41/5 ბრძანების მოთხოვნებთან შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სკოლას ჰყავს ექიმი მისი კვალიფიკაცია შეესაბამება 41/5 ბრძანებით მოთხოვნილ კვალიფიკაციას. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა, განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირები. სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია შესაბამის უწყებასთან. სკოლაში არის ვიდეო-სათვალთვალო სისტემა, დამონტაჟებულია 45 ვიდეო კამერა შიდა და გარე პერიმეტრის დასაცავად. სკოლაში დამონტაჟებულია საევაკუაციო გზებზე მიმართულების მაჩვენებელი ნიშნები. სკოლას გააჩნია კანონმდებლობის მოთხოვნების მიხედვით შედგენილი საევაკუაციო გეგმა, რომელიც გამოკრულია გეგმაზე მითითებულ ადგილებზე. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას, გამოკრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი, სამინისტროს ნომერი, და ა.შ. სკოლას ჰყავს 4 დარაჯი. სკოლის წინ, დამონტაჟებულია ე. წ. მწოლიარე პოლიციელი ანუ დაბრკოლება რაც ხელს უშლის მანქანას მაღალი სიჩქარის განვითარებაში. მოსწავლეთა უსაფრთხოდ გადაადგილების უზრუნველსაყოფად, სკოლის დირექტორმა მიმართა თბილისის მერიის სამსახურს, რათა სკოლის წინ, მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟებულიყო მანქანის გაჩერების ამკრძალავი ნიშანი, რადგან მოსახლეობის მიერ გაჩერებული მანქანები ხელოვნურად ამცირებდა სავალ გზას და საფრთხეს უქმნიდა მოსწავლეების ჯანმრთელობას.

სკოლამ მიერ შევსებულ თვითშეფასების ფორმასა და შექმნილ შესაბამისობის გეგმაში აღნიშნულია, რომ შენობის მდგრადობის შემოწმების საკითხთან დაკავშირებით, მან წერილობით მიმართა ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს, გაირკვა, რომ აღნიშნული მიმართულებით საქმე სრულდება გეგმის შესაბამისად და მიმდინარეობს მოლაპარაკება, რის დამადასტურებელ საბუთადაც სკოლამ წარმოადგინა შესაბამის უწყებებთან წარმოებული მიმოწერა.

სკოლის ტერიტორია ეზო, შემოსაზღვრულია ღობით, აქვს ორი ჭიშკარი - შესასვლელი. სკოლის უკანა ეზოში, სკოლის ტერიტორიაზე არის სხვა პირის, კერძო მობინადრის ჭიშკარი, რომელიც სკოლას არ ეკუთვნის.

სკოლაში სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს დამონტაჟდა ავტომატიზებული ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა, სართულებზე, განთავსებულია ცეცხლმაქრები (13 ცეცხლმაქრი). სახანძრო სისტემის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, სკოლამ წარმოადგინა სახანძრო-ტექნიკური შემოწმების აქტი, რომლის მიხედვითაც ობიექტის (სკოლის) შენობა-ნაგებობები, რაზედაც ჩატარდა სახანძრო-ტექნიკური შემოწმება - გამოკვლევა, სტანდარტს არ შეესაბამება. აღნიშნულის შესაბამისად სკოლამ დაიწყო მოქმედება და საქმის კურსში ჩააყენა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. სკოლას ამ ეტაპზე გარკვეული პრობლემები

აქვს ინფრასტრუქტურის კუთხით (საკანალიზაციო სისტემა, ნესტი ნულოვან სართულზე და ა.შ.), რომლის მოგვარების მოთხოვნით მას აქვს წერილები გაგზავნილი სხვადასხვა უწყებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლას მიეცა **რჩევა**: შეასრულოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნაში აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად დაგეგმილი ნაბიჯები და საჭიროების შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ზომები. **არგუმენტირებული პოზიციის გაზიარებისას**, სკოლამ წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზი დასკვნა შენობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. დასკვნაში მითითებულია, რომ „ მიუხედავად არსებული მცირედი დაზიანებებისა, რომლებიც I ხარისხისაა (უმნიშვნელოდან მსუბუქამდე დაზიანებები) და შენობა ვარგისია უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის. აღნიშნული მცირედი დაზიანებების აღმოფხვრის მიზნით აღნიშნული სამუშაოები გაწერა შესაბამისობის გეგმაში. განხორციელების ვადა კი ორი წელი აიღო - (26.02.2025 – 26.02.2027). ექსპერტთა ჯგუფმა სრულიად გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი პოზიცია და აღნიშნული ინდიკატორის შეფასება გახდა შესაბამისი. **3.4.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც სრულად აღჭურვილია ყველა საჭირო მედიკამენტითა და სამედიცინო ინვენტარით. სკოლას ჰყავს ექიმი, ექიმის მოთხოვნის საფუძველზე, ხორციელდება საჭირო მედიკამენტების შესყიდვა. დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი. **3.4.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირები, რომლებიც სკოლის დირექტორთან/დირექტორის მოადგილესთან ერთად აკონტროლებენ და ზრუნავენ უსაფრთხოებაზე. სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც ასევე პასუხისმგებელია სკოლის ტერიტორიაზე აკონტროლოს უცხო პირების გადაადგილება და პასუხისმგებელია მოსწავლის სკოლიდან გაშვებაზე, რომელიც მხოლოდ სპეციალური საშვის წარმოდგენის შემდეგ ტოვებს სკოლას. სკოლას ჰყავს მანდატური. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ქცევის წესები (თამბაქოს მოხმარების აკრძალვა, გადაუდებელი დახმარების ნომრები და ა.შ.), რითაც რეგულირდება წესრიგის დაცვის მექანიზმები. სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. **3.4.1.3. ინდიკატორი შეესაბამება;**

4. ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტის დროს სკოლას დახვდა პოზიტიური და კეთილგანწყობილი გარემო. დერეფნებსა და საკლასო ოთახებში გამოკრულია მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც მათ აღიარებას ნიშნავს. სკოლის ინფრასტრუქტურა (სამასწავლებლო, სამუშაო

სივრცეების, საკლასო ოთახები) და სკოლაში დასაქმებული პირები, ერთობლივად ქმნიან ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს. ამასთანავე სკოლაში, დამრიგებლებს შემუშავებული აქვთ სადამრიგებლო კლასის პროგრამა, სადამრიგებლო კლასის საათზე განიხილავენ სხვადასხვა თემას. სკოლა ახორციელებს რეფერირების პროცედურებს ბავშვზე ძალადობის/სავარაუდო ძალადობის შემთხვევაში, სადაც ჩართულია მანდატურის სამსახური და სოციალური მუშაკი. დერეფნებში გამოკრულია მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური სამსახურის ცხელი ხაზის ნომერი, რომლითაც შეუძლია ისარგებლოს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. **3.4.1.4. ინდიკატორი შეესაბამება;**

5. სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა 2022 წლის 06 თებერვლის ბრძანება N01-40 წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში მოთხოვნების შესაბამისად. სკოლა მუდმივად ახორციელებს ჰიგიენური საშუალებების შესყიდვას. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სანიტარულ ჰიგიენურ ნორმებზე პასუხისმგებელი პირები - ექიმი და მტუკი. სანიტარული ნორმების დაცვის მიზნით სკოლაში დასაქმებული არიან დამლაგებლები (4 დამლაგებელი), ვიზუალური დათვალიერებით სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. **3.4.1.5. ინდიკატორი შეესაბამება;**

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემთა დაცვას „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალური მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი და აღნიშნული პირი დარეგისტრირებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრების ბაზაში. **3.4.1.6. ინდიკატორი შეესაბამება;**

7. სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა/დამცავი ბარიერი. სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სკოლა ახდენს ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირებას. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომია მხოლოდ უფლებამოსილი პირებისათვის. **3.4.1.7. ინდიკატორი შეესაბამება;**

8. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით. ელექტრონულ სისტემებთან წვდომისას, ყველა მომხმარებელს აქვს საკუთარი მომხმარებლის სახელი და პაროლი. ელექტრონული ჟურნალზე წვდომა აქვს

ყველა პედაგოგს უნიკალური მომხმარებლის სახელითა და პაროლით. სკოლის ყველა მოსწავლეს და მასწავლებელს აქვს Office365 ლიცენზირებული მომხმარებლის სახელი და პაროლი. სკოლის კომპიუტერულ ქსელში ჩართული კომპიუტერები ჩასმულია დომეინში. შესაძლოა ითქვას, რომ ემისის მიერ სკოლაში დაცულია კომპიუტერული ქსელი და მონაცემები, რომლებსაც ინახავს eflow და eschool. სკოლას ემსახურება განათლების მართვის მიერ მომაგრებული IT სპეციალისტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში დროულად ერთვება პრობლემის მოგვარების პროცესებში. **3.4.1.8. ინდიკატორი შეესაბამება;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები

წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებაზე

წერილი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან შენობის უსაფრთხოების შესახებ

ლიფტის ჩაბარების აქტი

დამიწების ჩაბარების აქტი

წყალმომარაგების ტესტირების აქტი

წერილი მერიას მწოლიარე პოლიციელის მოთხოვნით

წერილი მერიას, სკოლის წინ მანქანის გაჩერების ამკრძალავი ნიშნის მონტაჟის მოთხოვნით

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის/პირების განსაზღვრის მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრა

(რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრა

ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია

სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე ზედამხედველი სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი

ჰიგიენური საშუალებების შესყიდვის დამადასტურებელი ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა

გათბობის, გაგრილების და ვენტილაციის სისტემის ტესტირების აქტი

წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს სახანძრო შემოწმების მოთხოვნით

სკოლის საგანგებო მართვის გეგმა (შეთანხმებული)

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი - სკოლის საგანგებო მართვის გეგმის შესახებ.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მდებარეობს თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, მისამართზე: ქალაქი თბილისი, ი. იმედაშვილის ქუჩა N4, დაზუსტებული ფართობი 3913 კვ.მ. N1 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 3542.05 კვ.მ და N2 შენობა (საქვავი).

სკოლა განთავსებულია სამ სართულზე. თითოეულ სართულზე მდებარეობს საკლასო ოთახები (ჯამში 28 საკლასო ოთახი), ადაპტირებული სველი წერტილები: გოგოებისთვის, ბიჭებისთვის და მასწავლებლებისთვის; ადაპტირებული სველი წერტილები (თითოეულ სართულზე).

ნულ სართულზე მდებარეობს: დარბაზი (ცეკვის წრისთვის), ბიბლიოთეკა, სასადილოსთვის განკუთვნილი სივრცე, საწყობის ოთახი და სველი წერტილები. **პირველ სართულზე** სპორტული დაბაზი, სააქტო დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, ექიმის ოთახი, მანდატურების ოთახის, ადმინისტრაციის ოთახი და საკლასო ოთახები. **მეორე სართულზე** განთავსებულია სამასწავლებლო და საკლასო ოთახები. **მესამე სართულზე** საკლასო ოთახები, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.

მატერიალური რესურსის თვალსაზრისით, სკოლის საკუთრებაშია: 730 მერხი და სკამი, 96 კომპიუტერი (30 პერსონალური, 66 პორტატული - ლეპტოპი) 19 პროექტორი, 15 პრინტერი- კომბინი, ჭკვიანი დაფა, ჭკვიანი კალამი და კომპიუტერების კარადა, სპორტული ინვენტარი (ბურთები, მაგიდის ტენისი, კალათბურთის ფარი, ფეხბურთის კარი, ჭადრაკის დაფები ა.შ.). მუსიკალური ინსტრუმენტები: 4 პიანინო. ხმის გამაგრძლიელებლები და მიკროფონი. **3.5.1.1. ინდიკატორი შეესაბამება;**

2. მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (დერეფანი, ეზო, სპორტული მოედანი) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. დაწესებულების ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც არეგულირებს რესურსების ხელმისაწვდომობას, სკოლის ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში - ლაბორატორიით სარგებლობის წესი. **3.5.1.2. ინდიკატორი შეესაბამება;**

3. სკოლამ წარმოადგინა ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ინვენტარიზაციის წიგნი. ბიბლიოთეკის საქმიანობა ეფუძნება ბიბლიოთეკის დებულებას. სკოლის წიგნადი ფონდი შედგება სამხატვრო, სამეცნიერო ლიტერატურისგან. ბიბლიოთეკა განთავსებულია ნულოვან სართულზე. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის ბალანსზე არსებული წიგნები (გარდა სახელმძღვანელოებისა) სათავსოში იყო განთავსებული. ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილ ოთახში დაფიქსირდა ტენიანობის პრობლემა, რაც გამოწვეულია ნალექის დროს წყლის ჩასვლით. აღნიშნული გამოწვევის დასაძლევად, სკოლის ადმინისტრაციამ შესაბამისი ღონისძიებები გაატარა – კერძოდ, მიმართა შესაბამის უწყებებს და სივრცეში დამონტაჟდა ტენიანობის შემამცირებელი მოწყობილობები. სამომავლოდ, როდესაც სრულად აღმოიფხვრება ტენიანობის პრობლემა, სკოლას განთავსებს წიგნად ფონდს ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილ სივრცეში (ოთახში). **3.5.1.3. ინდიკატორი შეესაბამება;**

4. სკოლის შენობა ქმნის ინკლუზიურ გარემოს. შენობაში არის ადაპტირებული სველი წერტილი, არის ლიფტი და შემთხვევაში პანდუსები. შესაბამისად, სკოლის სივრცე ქმნის ინკლუზიურ გარემოს. **3.5.1.4. ინდიკატორი შეესაბამება;**

5. სკოლის ინფრასტრუქტურა (სკოლის ეზო, დარბაზი, სპორტული მოედანი, სარეკრეაციო სივრცე), ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან ერთად. დერეფნებში მოწყობილია სამუშაო სივრცეები, ასევე დგას მაგიდის ტენისი. **3.5.1.5. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

ლაბორატორიის გამოყენების წესი;

ბიბლიოთეკის მუშაობის წესი;

მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;

სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის დამტკიცება;

სსსმ მოსწავლეებთან სამუშაო განრიგი;

ლიფტის ჩაბარების ოქმი.

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას სწორად აქვს განსაზღვრული სასწავლო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების ადგილი, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის სრულფასოვან წარმართვას, კერძოდ, სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტკავშირით, დამონტაჟებულია WI-FI მოწყობილობა. გარდა კომპიუტერული ლაბორატორიის სკოლა, საერთო ჯამში ფლობს: 19 პროექტორს, 26 კომპიუტერს სასწავლო მიზნებისთვის, 66 ლეპტოპს. ტექნოლოგიების ჩართვა სასწავლო აქტივობებში და შესაბამისად დაგეგმილი თუ განხორციელებული სასკოლო აქტივობები, ასევე სკოლის მასწავლებლებსა და სასკოლო საზოგადოებას შორის ელექტრონული მიმოწერა. **3.6.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. აღნიშნულის რეგულირების მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს „ლაბორატორიით სარგებლობის წესი“. ლაბორატორიით სარგებლობის წესი გამოკრულია ლაბორატორიაში, ხოლო სამუშაო განრიგი ლაბორატორიის კარზე. **3.6.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ლაბორატორიებით სარგებლობის წესი;

საქმისწარმოების წესი

ხელშეკრულება საქმისწარმოებელთან

წერილი პარლამენტის თავმჯდომარეს საჯარო ინფორმაციის შესახებ

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი. აღნიშნული დოკუმენტი საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას შეესაბამება. დოკუმენტის მიზანია მოაწესრიგოს დოკუმენტების ბრუნვა, აამაღლოს დოკუმენტების შედგენისა და გაფორმების ხარისხი და უზრუნველყოს დაწესებულების მუშაობის ეფექტიანობა. **3.6.2.1.ინდიკატორი შეესაბამება;**
2. სკოლაში, როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისთვის გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, eflow, Eschool-ის ბაზა და office 365. **3.6.2.2.ინდიკატორი შეესაბამება;**
3. ავტორიზაციის ექსპერტების მიერ გადამოწმდა და დადგინდა, რომ სკოლას ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Eschool-ის ბაზა) პროფილი შევსებული აქვს სრულყოფილად. **3.6.2.3. ინდიკატორი შეესაბამება;**
4. სკოლის მიერ გაგზავნილი კორესპონდენციის შემოწმების მიხედვით, დგინდება, რომ სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ შესაბამის უწყებებს. **3.6.2.4.ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კომპიუტერების მასწავლებელზე გადაცემის მიღება-ჩაბარების აქტები
ციფრული განვითარების გეგმა

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებ-გვერდი - skolebi.emis.ge - [სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები](#) - სსიპ თბილისის 123 საჯარო სკოლა და ასევე აქვს სოციალურ ქსელში Facebook გვერდი - [თბილისის N123 საჯარო სკოლა | Tbilisi | Facebook](#) . **3.6.3.1. ინდიკატორი შეესაბამება;**
2. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთერთობის / კომუნიკაციის წესი, რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელების პრინციპებს და სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაციის უტყუარობას. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი. **3.6.3.2. ინდიკატორი შეესაბამება;**
3. სკოლა უკუკავშირის მისაღებად იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებსა და საშუალებას. უკუკავშირის დაფიქსირება დაინტერესებულ პირს შეუძლია სკოლის ვებ გვერდზე გამოქვეყნებული პოსტის ქვეშ, ელ. ფოსტის საშუალებით, პირადი შეტყობინებით. სასკოლო საზოგადოებისგან უკუკავშირის მისაღებად სკოლა იყენებს Forms გამოკითხვის ფორმებს. ტარდება სამუშაო შეხვედრები, მშობელთან შეხვედრები. უკუკავშირზე დაყრდნობით, ხორციელდება პრობლემის შესწავლა, გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება და მოგვარება. აღნიშნულის მაგალითად, წარმოდგენილია, სასწავლო წლის ბოლოს, 2024 წლის ზაფხულში, სასკოლო საზოგადოებისაგან

აზრის მისაღებად, გამოყენებული Forms გამოკითხვის ფორმა, რომლის მიზანიც იყო გასული სასწავლო წლის პრობლემების დადგენა და მომავალი სასწავლო წლის სურვილები. სკოლის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მიღებული მონაცემები დამუშავდა და წარედგინა პედაგოგიურ კოლექტივს. ასევე მაგალთისთვის შესაძლებელია ავილოთ, 2024-2025 სასწ. წლის დასაწყისში, გაკვეთილის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, კლასის ხელმძღვანელების მიერ ჩატარებული გამოკითხვა, სადაც მშობლებს უნდა დაეფიქსირებინათ პოზიცია 40 წთ,- 5 დღიანი სამუშაო კვირა თუ 45 წთ - 6 დღიანი სამუშაო კვირით განსაზღვრულიყო. სკოლას აღნიშნულის დამადასურებლად წარმოადგენილი აქვს ანგარიშები, მშობელთა გამოკითხვის შედეგები და ა.შ. **3.6.3.3. ინდიკატორი შეესაბამება;**

4. სკოლის ვებ-გვერდსა და Facebook გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **3.6.3.4. ინდიკატორი შეესაბამება**

5. სკოლის ვებ-გვერდზე მოცემულია ინფორმაცია სკოლის მდებარეობის შესახებ, მოსწავლეთა რაოდენობა და ყველა ის ინფორმაცია, რომელსაც აღნიშნული ინდიკატორი ითვალისწინებს, გარდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებისა. **3.6.3.5. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი

ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი

მშობელთა გამოკითხვის ფორმა გაკვეთილის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით

სკოლის ვებგვერდი

სკოლის სოციალურ ქსელში Facebook გვერდი

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას, სამეურვეო საბჭოს მიერ, დამტკიცებული აქვს ბიუჯეტი, რომელიც წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობითაა შემუშავებული და გათვალისწინებულია სკოლისათვის საჭირო ყველა ასპექტი. ბიუჯეტის მომზადებისას გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლებს, პრიორიტეტებს და სავარაუდო ხარჯებს. ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების საჭიროება. გათვალისწინებულია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად ერთ მოსწავლეზე გათვლილი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობა, კანონის შესაბამისად. სკოლას აქვს ეკონომიკური შემოსავალი ფასიანი წრებიდან, საბანკო სარგებელი. **3.7.1.1. ინდიკატორი შეესაბამება.**
2. სკოლის დირექტორის განმარტებით და წარმოდგენილი სამეურვეო საბჭოს ოქმების მიხედვით, სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსური რესურსების განკარგვის და მონიტორინგის შედეგებს; სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხდება სამეურვეო საბჭოზე, ხოლო მისი გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ასევე წარედგინება სამეურვეო საბჭოს. წელიწადში ერთხელ ტარდება ფინანსური ინვენტარიზაცია სკოლის სტაბილურობის შესაფასებლად ბუღალტერი ახორციელებს ბაზრის კვლევას, რაც ხელს უწყობს მომდევნო წლის ბიუჯეტის სწორად შედგენას. საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება შესყიდვების გეგმაში ცვლილების შეტანა. სამეურვეო საბჭოს ოქმი, ბიუჯეტის დამტკიცებას სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე ამოწმებს, თუ რამდენად სწორად იქნა გაწერილი მიმდინარე წლის ბიუჯეტი, ასახული იყო თუ არა წინა წლის გამოცდილება. აღნიშნულის გათვალისწინებით **3.7.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ბრძანება ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ

ბაზრის კვლევაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრა

შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცება

2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ 2024 წლის 15 ნოემბრის ბრძანება N2-383
დანართში კორექტირების შეტანის შესახებ

დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოსთან 10 დეკემბრამდე

ახალი ბიუჯეტის დამტკიცება - სამეურვეო საბჭოს ოქმი, სამეურვეოს ოქმი 10 დეკემბრამდე

2024 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ 2023 წლის 14 ნოემბრის ბრძანება N2-271
დანართში კორექტირების შეტანის შესახებ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

